



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება N094-11

1. ფაქტები

ადვოკატი დ.კ. იცავდა ე.წ. ინტერესებს სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით. კერძოდ, ადვოკატი წარმოადგენდა კლიენტს მ.კ.სთან წარმოებულ სამოქალაქო დავაზე, სესხად გაცემული 76 000 აშშ დოლარის თაობაზე. 2011 წლის 23 სექტემბერს ნ.კ.სა და მ.კ.ს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ნ.კ.მ მ.კ.ს ასესხა 7000 აშშ დოლარი 3 თვის ვადით. იპოთეკის საგანს წარმოადგენდა მსესხებლის - მ.კ.ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე _____. ე.წ. ნ.კ.ს შეუთანხმდა, რომ 3-4 თვე მ.კ.ს ქონებაზე აღსრულებას არ მიაქცევდა, რისთვისაც ე.წ.-მ გადასცა 500 აშშ დოლარი. 2011 წლის 1 ნოემბერს დ.კ.სა და ნ.კ.ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ადვოკატმა ნ.კ.ს გადასცა 10 500 აშშ დოლარი, რითაც ნ.კ. უარს ამბობდა მ.კ.სთვის გადაცემულ 10 000 დოლარზე მასზე დარიცხული სარგებლით და ასევე მის სასარგებლოდ დატვირთილი მ.კ.ს უძრავ ქონებაზე პრეტენზიის გამოთქმაზე. ამავე დროს დ.კ.მ გააფორმა ნ.კ.სთან რწმუნებულება.

2. პროცესუალური ისტორია

2011 წლის 9 ნოემბერს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ე.წ.-მ და მოითხოვა თავისი ადვოკატისთვის - დ.კ.ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

საჩივრის აღმძვრელის განმარტებით, ადვოკატმა დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი ნდობის პრინციპის თაობაზე, მე-5 მუხლი კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვისა და მე-6 მუხლი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

განხილვის კომისიამ, მოისმინა რა სამი მხარის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 36-ე მუხლის საფუძველზე. ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატ დ.კ.ის მიერ ჩადენილ იქნა დისციპლინური გადაცდომა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის, მე-5 მუხლის და მე-6 მუხლის პირველი ნაწილის ფარგლებში.

3. სამართლებრივი ანალიზი

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა განმარტებები და თვლის, რომ ადვოკატ დ.კ.ის მიერ ჩადენილ იქნა დისციპლინური გადაცდომა. დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განისაზღვრა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლების ჩამორთმევა 6 თვის ვადით.

შეიძლება თუ არა, რომ ადვოკატის მიერ ნ.კ.ს ვალის გადახდა ჩაითვალოს კლიენტის ინტერესების უფლებებელყოფად?

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი თუ სხვა პირების ინტერესებზე მაღლა.

ადვოკატმა უფლებელყო ფაქტი, რომ კლიენტმა ნ.კ.ს გადაუხადა 500 აშშ დოლარი სააღსრულებო პროცედურების დაწყებამდე გადასადებად და თავისივე თანხით მეორე დღესვე მთლიანად დაფარა ნ.კ.ს ვალი და თავად გახდა მ.კ.ს მოვალე, თანაც ისე, რომ კლიენტი თავის არ შეუტყობინებია. ეთიკის

კომისიის აზრით, შესაძლოა აღნიშნული ხელშეკრულება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდეს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით ნ.კ. უარს ამბობდა ედავა მ.კ.სთან, ხოლო ადვოკატს კი წარმოეშობოდა უფლება მ.კ.სთვის მოეთხოვა ფულადი ანაზღაურება, რაც სავარაუდოდ ადვოკატის ფინანსური სარგებლისა და მისგან წარმოშობილ დაინტერესებაზე მიუთითებდეს. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების უგულვებელყოფით ნ.კ.ს ე.წ.-ზე უკეთესი პირობა შესთავაზა, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა ე.წ.-სთან არსებულ შეთანხმებაზე და ადვოკატის შეთავაზებას დათანხმდა. ფაქტობრივად, ადვოკატმა კონკურენცია გაუწია კლიენტს და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედა.

დ.კ.ის მიერ ნ.კ.სთვის 10 500 აშშ დოლარის გადახდა შესაძლოა ჩაითვალოს კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებად.

შეიძლება თუ არა, რომ ადვოკატის მიერ ნ.კ.სთან გაფორმებული რწმუნებულება ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად? ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადვოკატს უფლება არ აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთსა და იმავე საქმეზე, თუკი არსებობს ამ კლიენტების ინტერესებს შორის ინტერესთა კონფლიქტი.

ადვოკატი დ.კ. იცავდა ე.წ.ს ინტერესებს, განახორციელა რიგი საპროცესო მოქმედებები კლიენტის საქმის წარმოებისთვის. თუმცა, როცა შესაძლებლოა მიეცა, გააფორმა რწმუნებულება ნ.კ.სთან, რომლის ინტერესებიც ე.წ.ს ინტერესებთან კონფლიქტში მოდიოდა; კერძოდ, ე.წ.ს სურდა მ.კ.ს ქონებიდან ამოეღო თავისი ვალი. იგივე სურდა ნ.კ.საც, რომელიც წარმოადგენდა მ.კ.ს იპოთეკარს. ადვოკატმა დ.კ.მ კი არა მხოლოდ რჩევა მისცა ნ.კ.ს, არამედ გადასცა მას თანხა, რითაც დაიფარა მ.კ.ს ვალი ნ.კ.სადმი და ასევე გააფორმა ამ უკანასკნელთან რწმუნებულება. თანაც ეს ყველაფერი ისე გაკეთდა, რომ ე.წ.-სთვის არაფერი შეუტყობინებია. ამიტაც დაარღვია მან პროფესიული ეთიკის ნორმა, რადგან ინფორმირებული კლიენტი შეძლებდა მისი სასარგებლო გადაწყვეტილებები მიეღო, უარი ეთქვა დ.კ.ის მომსახურებისთვის და სხვა ადვოკატი მოემძებნა. ადვოკატის მიერ ნ.კ.-სთან გაფორმებული რწმუნებულება ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად.

დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელი ზომის გამოყენებაა მიზანშეწონილი მოცემულ შემთხვევაში? დებულების მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

ადვოკატმა დ.კ.მ თავისი ქმედებებით უგულვებელყო კლიენტის ინტერესები. მან კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების გარეშე, თავისი ინიციატივით გააფორმა ხელშეკრულება ნ. კ.სთან, რომლის საფუძველზეც გადასცა მას 10 500 აშშ დოლარი. ადვოკატი აცხადებს, რომ ეს მხოლოდ იმისთვის გააკეთა, რომ თავისი კლიენტი უფრო დაცული ყოფილიყო იპოთეკარის სამომავლო მოქმედებებისგან. თუმცა, ეთიკის კომისია გამოთქვამს ვარაუდს, რომ ნ. კ.სთან გაფორმებული ხელშეკრულებით ადვოკატს უნდა მიეღო მატერიალური სარგებელი. შეიძლება ამ მოქმედებით თავად კლიენტს არ განუცდია მატერიალური ზარალი, მაგრამ მსგავსი ქმედება სცდება ადვოკატის პროფესიული ეთიკის ფარგლებს.

ადვოკატ დ.კ.ის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განესაზღვრა ადვოკატის საქმიანობის განხორციელების უფლების შეჩერება 6 თვის ვადით.